



შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"

LLC "COMPANY BLACK SEA GROUP"

თარიღი: 25.02.2020

BSG-OUT-MNG-COR-0188

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

თქვენი მიმდინარე წლის 19 თებერვლის N1910/01 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ განმარტებით წერილს 2020 წლის 23 იანვრის N986 სკრინინგის განცხადებაზე და კორექტირებულ „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებს“

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2017 წლის 16 ნოემბერს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ ასფალტის წარმოებაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N56. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში განხილული იყო, რომ ასფალტის წარმოება უნდა განხორციელებულიყო გერმანული წარმოების „LINTEK CSD 1500“ მობილური ტიპის დანადგარზე, რომლის წარმადობა შეადგენდა 120ტ/სთ-ში და იმუშავებდა დიზელის საწვავზე (დანართი N1- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N56, 16.11.2017)

გაცნობებთ, რომ კომპანია გასულ პერიოდში გეგმავდა არსებული დანადგარის სხვა კერძოდ იტალიური წარმოების „TOPI TOBEP 300/MARINI“ მობილური დანადგარით ჩანაცვლებას და წარმადობის გაზრდას, რის თაობაზეც მიმართა სამინისტროს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-111; 28.02.2018-ით მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს ასფალტის ქარხანაში მობილური დანადგარის შეცვლისა და წარმადობის გაზრდის პროექტი არ დაექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას; (დანართი N2-სკრინინგის გადაწყვეტილება N2-111)

2019 წლის 12 ივნისს, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნულ საქმიანობაზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაცემის მოთხოვნით კომპანიამ მიმართა სამინისტროს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N5-279, 21.06.2019 -ით შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ხაშურის რ-ში, სოფ. გომში ასფალტის წარმოებაზე. (დანართი N3- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება)

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ფლობს რამდენიმე მობილურ ასფალტის მწარმოებელ დანადგარს, რომელთა საწარმოში შეტანა და ექსპლოატაციაში გაშვება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის მიწის, სამშენებლო ან სხვა ტიპის სამუშაოებთან, ასევე იქიდან, რომ კომპანიას საქართველოს მასშტაბით გააჩნია სამშენებლო ბაზები სხვადასხვა რეგიონში და აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში მიმდინარე, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებში, საჭირო ხდება მოკლე დროში ამ

დანადგარების ლოკაციების ცვლილება პროექტების დროულად განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე.

ასეთი საჭიროებიდან გამომდინარე კომპანია არ გამორიცხვას, მომავალში ასფალტის დანადგარის კვლავ ჩანაცვლებას, რის გამოც კომპანია იტოვებს უფლებას შეინარჩუნოს მონაცვლეობით, ყველა სამინისტროსთან შეთანხმებულ დანადგარის გამოყენების უფლება.

2019 წლის 25 ივლისს კომპანიამ მომართა სამინისტროს (განცხადება N10748) საწარმოს ექსპლუატაციის პირობის შეცვლაზე, კერძოდ საწარმო გეგმვდა გერმანული "BENNINGHOVEN" მარკის "MBA 1250"- ტიპის მობილური დანადგარით შეტანას 2-3 წლის ვადით, რომლის წარმადობა იქნებოდა შეადგენს 100 ტ/სთ. იგეგმებოდა, რომ დანადგარი იმუშავებდა ბუნებრივ აირზე.(აქვე განგიმარტავთ, რომ ზემოთ აღნიშნული ასფალტის ქარხანა წარმოადგენს სხვადასხვა აგრეგატების(ინერტული მასალების მკვებავი ბუნკერები; საშრობი დოლი და წვის კამერა, მტვერდამჭერი სისტემა, შემრევი აგრეგატი, შემავესებლის სილოსი, ბიტუმის სისტემა, საწვავის 2 რეზერვუარი/(10000 ლ მოცულობით), მართვის კაბინა). ქარხანას აქვს შესაძლებლობა იმუშავოს როგორც ბუნ. აირზე ასევე დიზელზე და მაზუთზე.

ზემოთ აღნიშნულ განცხადებაზე 2019 წლის 9 აგვისტოს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება N2-766, რომლის თანახმად ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტი არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას; (დანართი N4- სკრინინგის გადაწყვეტილება N2-766)

განგიმარტავთ, რომ გამომდინარე იქიდან რომ საწარმოს ტერიტორიამდე მიყვანილი ბუნებრივი აირის მიწოდების სისტემა არ აღმოჩნდა შესაბამისი(საკმარისი) ქარხნის ეფექტური მუშაობისათვის. საჭირო ხდება ალტერნატიული საწვავის გამოყენება. კომპანია ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე გეგმავს, გერმანული "BENNINGHOVEN" მარკის "MBA 1250"- ტიპის მობილური დანადგარის მუშაობისათვის საწვავად გამოყენებული იქნას დიზელის საწვავი.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა - ექსპლუატაციის პირობების შეცვლა საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის 11-ე ქვეპუნქტის თანახმად, წამოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობას და ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.



წარმოგიდგენთ „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების“ შესახებ კორექტირებულ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ამირან მამუჭაძე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ დირექტორი

დანართი : 6 ფურცლად და ელ ვერსია CD დისკი 1 ასლი



„დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები“

1. პროექტის განხორციელების ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია;
შ.პ.ს. „კომპანია ბლექ სი გრუპ“-ის გომის სამშენებლო ბაზა მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომის მიმდებარე კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიაზე (ს/კ69.02.68.439). ტერიტორიის საერთო ფართობია 128884 კვ.მ, ხოლო ასაფლტის ქარხნის საოპერაციო მოედნის ფართობი შეადგენს დაახლოებით 225 მ²-ს. (დანართი N1, N2- გენ.გეგმა)
2. დანადგარის აღწერა და ტექნოლოგიური სქემა: საწარმოში იგეგმება გერმანული კომპანია „BENINGHOVEN“-ის წარმოების „MBA 1250“ მარკის მობილური ასფალტის დანადგარის შეტანა, რომლის წარმადობაა საათში 100-120 ტ ასფალტი.(წლიურად 200000-240000 ტ) . დანადგარის შემადგენელი კომპონენტებია: ინერტული მასალების მიწოდების მობილური სისტემა, საშრობი დოლი და წვის კამერა; მტვერდამჭერი სისტემა; შემრევი აგრეგატი, საწვავის რეზერვუარები, საკონტროლო კაბინა; შემავსებლის სილოსი; ბიტუმის რეზერვუარი და სხვა.
დანადგარის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ასფალტნარევის დამზადება. დანადგარი აღჭურვილია მტვრის გამწმენდი სახელოიანი ფილტრით(სახელოების რაოდენობა - 324, ფილტრის მდგრადობა ტემპერატურის მიმართ ტოლია 200°C-ის), რომლის ეფექტურობაა 99,98%.ასფალტის დანადგარი საპასპორტო მონაცემების მიხედვით საშუალებას იძლევა წარმოების პროცესში ასევე საწვავად გამოყენებული იქნას, როგორც დიზელი ასევე ბუნებრივი აირი. ინერტული მასალების საწყობიდან ან უშუალოდ თვითმცლელელებიდან ქვიშა-ღორღი მიეწოდება ოთხ სექციიან მკვებავ ბუნკერებს. მიმღები ბუნკერიდან მასალები მიეწოდება კონვეიერს, რომელიც მასალას ტვირთავს საშრობ დოლში. ამ პროცესს თან ახლავს მტვრის დიდი რაოდენობით წარმოქმნა, რაც მოქმედი მტვერდამჭერის საშუალებით გამოცალკევებული იქნება და გადაიტანება სპეციალურ საცავებში, საიდანაც მიეწოდება შემრევ მოწყობილობას. გაცხელებული და გამომშრალი მასალა გადაიტანება ცხავებზე, სადაც ხდება მათი ფრაქციებად დაყოფა. შემდგომ, სპეციალურ სასწორებზე წარმოებს მასალის დოზირება წინასწარ მოცემული რეცეპტის მიხედვით და აწონილი მასალა ჩაიყრება შემრევ ბუნკერში, სადაც მიეწოდება დანადგარის ბიტუმსახარშ რეზერვუარში წინასწარ გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი, აგრეთვე მინერალური ფხვნილი. არევის პროცესის დასრულების შემდეგ პროდუქცია გადაიტვირთება ჩასატვირთვ-განსატვირთვ ბუნკერში, საიდანაც მზა პროდუქცია ავტოტრანსპორტით მიეწოდება მომხმარებელს.
ბიტუმი საწარმოში შემოვა თხევად მდგომარეობაში ავტოცისტერნით და მოთავსდება ასფალტის დანადგარის ბიტუმსახარშ რეზერვუარში, რომლის ტევადობა 48 ტონაა, სადაც მოხდება მისი გაუწყლოვანება და მუშა ტემპერატურამდე გაცხელება საწვავის წვის შედეგად გაცხელებული თერმული ზეთის მეშვეობით.
3. სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში - 250 დღე , სამუშაო საათების რ-ბა - 8 სთ-იანი სამუშაო დღე;

4. **გამოყენებული საწვავი:** დანადგარის მოთხოვნა საწვავზე შეადგენს საათში 75-100 ლ-ს დიზელს.(ზამთრის პერიოდში მასალის ტენიანობიდან და გარემოს ტემპერატურიდან გამომდინარე ესაჭიროება 100 ლ დიზელი, ხოლო ზაფხულში 75 ლიტრი დიზელი), რაც დღიურად საშუალოდ 600-800ლ დიზელს შეადგენს. ხოლო წლიურად 1200 -1600 ტ (გზაში განხილული არსებულ დანადგარის შემთხვევაში გამოიყენებოდა დიზელის საწვავი-2475,4ტ/წელი
5. **საწვავის რეზერვუარი:** საწვავი საწარმოში შევა ავტოცისტერნით და განთავსდება ასფალტის დანადგარის საწვავის რეზერვუარში. დანადგარის საწვავის რეზერვუარი შედგება 2 ცალი 5 ტონიანი რეზერვუარისაგან. (საწვავის რეზერვუარი დანადგარის შემადგენელ ნაწილია, რომელიც წარმოადგენს ბორბლებზე განთავსებულ საწვავის რეზერვუარების ერთობლიობას და ქარხნული წარმოებისაა)
6. **არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან ნარჩენი და კუმულაციური ზემოქმედება:** არსებული მდგომარეობა(გზა განხილული მდგომარეობა და პირობები არ შეიცვლება; კერძოდ წინამდებარე დაგეგმილი სამუშაოების მიმდინარეობით საწარმოს ექსპლოატაციით გამოწვეული გარემოზე მაღალი ან საშუალო დონის ნარჩენი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან საწარმოს სიახლოვეს ანალოგიური ტიპის საწარმო არ არის განთავსებული. საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად დაბალი დონის ნარჩენი ზეგავლენა არ ექვემდებარება განხილვას.
დაგეგმილი სარეაბულისტაციო სამუშაოების დაბალი ინტენსივობის და საწარმოს ექსპლოატაციის პირობების გათვალისწინებით მისი განთავსების ტერიტორიის მომიჯნავე ადგილებში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
7. **ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:**
ატმოსფერული ჰაერი - საწარმო ბაზის მოწყობას წინ უძღვოდა მოცემულ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და საწარმოს ფუნქციონირების ზეგავლენის შესწავლა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.
ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობების და რაოდენობების დასადგენად გამოყენებული იქნა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“, რომელიც აკმაყოფილებს მავნე ნივთიერებათა გაბნევის ნორმების სათანადო მოთხოვნებს. მანქანური ანგარიშისას ზღვ-ს მნიშვნელობები განისაზღვრა სპეციალურად შერჩეულ წერტილებში და აგრეთვე, საანგარიშო ბადის კვანძებში. საანგარიშო ბადედ მიღებულია კვადრატული ფორმის ტერიტორია 500მ X 500მ, ბიჯით - 100მ. ანალიზი განხორციელდა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთდროულად აფრქვევს ყველა წყარო. ასევე გათვალისწინებული იქნა მტვრის ფონური მაჩვენებლები რაიონის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოდან დაშორებულია 1500მ-ით. გათვლების შედეგების ანალიზმა გვაჩვენა, რომ წარმოების პროცესში საწვავად როგორც დიზელის საწვავის, ასევე ბუნებრივი აირის გამოყენების შემთხვევაში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია საწარმოდან 500მეტრში არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

წყლის გამოყენება;

საწარმოს წყალმომარაგება ხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი ჭაბურღილიდან სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) მოპოვების ლიცენზიით #1002660 დადგენილი პირობების გათვალისწინებით. ჭაბურღილიდან აღებული წყლის რაოდენობა შეადგენს 34000მ³/წელ-ს, ხოლო დამატებით წყლის მოპოვება საჭიროების შემთვევაში განხორციელდება მდ. მტკვრიდან ელექტროტუმბოს საშუალებით, რაოდენობით 507200მ³/წელი. წყალაღების წერტილიდან საწარმომდე უმოკლესი მანძილი 750მეტრია, ხოლო წყალაღების წერტილის კოორდინატებია: X - 397445, Y - 4652315.

ჩამდინარე წყლები - საწარმოს ტერიტორიაზე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხორციელდება BIOASM-PT ტიპის ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარით, რომლის საშუალებით ადგილი აქვს ჩამდინარე წყლების ბიოლოგიურ და მექანიკურ გაწმენდას.

სანიაღვრე წყლები- საწარმოს ტერიტორიაზე ტერიტორიის მოწყობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს საწარმოს ტერიტორიაზე წამოქმნილი სანიაღვრე წყლების მიმდებარე ტერიტორიებზე გადინების, ასევე ამ წყლებით გრუნტის წყლების დაბინძურების საფრთხე.

ნიადაგის საფარის დაბინძურება და დაზიანება - საწარმოს სამშენებლო ბანაკის მშენებლობისას განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ: ტერიტორიის მთელ მონაკვეთზე მოიხსნა მიწის ნაყოფიერი ფენა და ნაყოფიერი ფენის ქვედა ფენა, რის შემდგომ საწარმოს ტერიტორიაზე დაიგო ჯეომემბრანა და მოეწყო სადრენაჟო ფენა(დაიყარა შლამი, რომელიც დაიფარა ღორღით). მოხსნა განხორციელდა სელექტიურად, ასევე ცალ-ცალკე მოხდა ნიადაგის აღნიშნული ფენების დასაწყობება საწარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე. მოხსნილი მიწის ნაყოფიერი ფენა(საერთო მოცულობით დაახლოებით 38660მ³) მთლიანად დასაწყობდა ყველაზე ამაღლებულ ადგილებზე, როგორც ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში, ასევე მისი პერიმეტრის მიმდებარედ 2,0-2,5მ სიმაღლის მქონე 5 მიწაყრილების სახით. მათი კოორდინატები შემდეგია:

1) X - 397065, Y - 4652932

X - 396972, Y - 4653020

2) X - 397154 Y - 4652965

X - 397044 Y - 4653112

3) X - 397223 Y - 4652973

X - 397146 Y - 4653132

4) X - 397571 Y - 4653024

X - 397400 Y - 4653125

5) X - 397065, Y - 4652932

X - 397571 Y - 4653024

გატარებულია ღონისძიებები ნიადაგის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიმართულებით(სხვა ნიადაგის ფენებთან და ქანებთან შერევა მისი დაბინძურებისაგან, გადარეცხვისაგან, გაბნევისაგან დაცვა და სხვ.). მოხდა ნიადაგის ყრილების გამწვანება ბალახით და სხვა მრავალწლიანი ბუჩქებით. მიწის მოხსნის და სადრენაჟო ყრილების

მოწყობის შემდგომ საწარმოს ტერიტორიამ მიმდებარე მიწის ნაკვეთებთან შედარებით 15 სანტიმეტრით ქვემოთ დაიწია, ჯეომემბრანის და სადრენაჟო ფენის არსებობა გამორიცხავს სანიაღვრე წყლებით როგორც საწარმოს, ასევე მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურებას. საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის სრული დაცვის პირობებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს განლაგების ზონის ნიადაგურ საფარზე პრაქტიკულად ადგილი არ ექნება, ამასთანავე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მისი მიმდებარე ტერიტორია დაცული იქნება დაზიანებისა და დეგრადაციისაგან. ტერიტორიის სხვა სახის დაბინძურების არსებობისას მოხდება დაბინძურებული წყაროს ლიკვიდაცია და უმოკლეს ვადებში ჩატარდება დაბინძურებული ტერიტორიის რეკულტივაცია ნიადაგური საფარის აღდგენის მიმართულებით. საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ჩატარებული იქნება რეკულტივაციის სამუშაოები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - მთლიანად იქნება აღდგენილი პირვანდელ მდგომარეობამდე.

ფლორა არსებული მდგომარეობა (გზშ განხილული მდგომარეობა და პირობები) არ შეიცვლება; კერძოდ აღნიშნული საწარმოს მიმდებარე ტერიტორია მცენარეული საფარის მხრივ ძალზე ღარიბია. საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში მცენარეული საფარის დაზიანებას ადგილი არ ექნება ;

ფაუნა - საწარმოს განთავსების მიმდებარე ტერიტორიის შესწავლისას და საწარმოს ფუნქციონირებისას კანონმდებლობით დაცული სახეობების საბინადრო ადგილები არ ყოფილა გამოვლენილი,რის გამოც მათზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი;


ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები: შენარჩუნდება არსებული მდგომარეობა (გზშ განხილული მდგომარეობა და პირობები), კერძოდ ნარჩენების მართვა განხორციელდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N277/01, 09.01.2020 შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. (დანართი N3, N4)

გარემოს დაბინძურება და ხმაური: - ხმაურის გავრცელებით და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედების ცვლილება იქნება მნიშვნელოვანი (შემცირდება). მოხდება არსებული დანადგარის, როგორც გარემოსდაცვითი ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე დანადგარით ჩანაცვლება, რომელიც აღჭურვილია როგორც ხმის დამხშობი ასევე 99,99% ეფექტურობის მქონე მტვერდამჭერი სისტემებით.

8. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი-

არსებული მდგომარეობა (გზშ განხილული მდგომარეობა და პირობები) არ შეიცვლება; ავარიული სიტუაციების მართვა განხორციელდება ავარიული სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამისად.

9. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე- საწარმოო უბნებიდან დაცილების დიდი მანძილის გათვალისწინებით(უახლოესი დაცული ტერიტორია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ნაკრძალი საწარმოდან დიდი მანძილითაა დაშორებული)უახლოეს დაცულ ტერიტორიებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.მოსალოდნელი არ არის.



დანართი 2. საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა;

